საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №547
2020 წლის 25 მაისი

ქ. თბილისი

„იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.11.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010340000.22.027.016216) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^3 პუნქტი:

„13^3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო – საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი.“.

2. 3^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3^1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას არ საჭიროებენ საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივ გავრცელებასთან დაკავშირებით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლის მოქმედების პერიოდში ამავე მუხლისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე გამოსაცემი ნორმატიული აქტების პროექტები.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 23 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**